ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 73

“3” აპრილი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქუჩა ხუდადოვი, №173-ში (საკადასტრო კოდი №01.16.09.001.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ქუჩა ხუდადოვი, №173-ში მდებარე, უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 მარტის №20.385.486 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებული პირთათვის პირდაპირიგანკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ხუდადოვის, №173, კორპუსი №5 (ს/კ: №01.16.09.001.001)

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ფართი	საკადასტრო კოდი
1	ქეთევანი ჟღენტი	01034000619	38.50 კვ.მ	01.16.09.001.001.01.515
2	მარინე ალექსიძე	01030009326	50.90 კვ.მ	01.16.09.001.001.01.511
3	ინა ივჩენკო	01026015628	59.55 კვ.მ	01.16.09.001.001.01.513
4	ხათუნა დევდარიანი	01030020570	73.47 კვ.მ	01.16.09.001.001.01.506